საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№272/20

2019 წელი, 24 ივნისი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წინადადების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" და „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07-2/355; 29.05.2019) საქართველოს კანონის პროექტების განხილვის ვადა იურიდიულ საკითხთა კომიტეტს (წამყვანი კომიტეტი) და იმ კომიტეტს, რომლის დასკვნაც უნდა ერთოდეს კანონპროექტებს, 2019 წლის 25 ივნისიდან შესაბამისად გაუგრძელდეთ 30 დღით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის
პირველი მოადგილე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე — თამარ ჩუგოშვილი